ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1792497

ნომერი: AR1292594

თარიღი : 10.03.2015

გაცემის თარიღი : 19.03.2015

გაცნობის თარიღი : 23.03.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სულხან ცინცაძე , N 12 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა სულხან ცინცაძე , N 12 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა სულხან ცინცაძე , N 12 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით კაკაბაძე პ/ნ 65002012448
- თბილისი მცხეთის II შეს. N 4

ორგანიზაცია:
- შპს ფუდკო კოდი: 405069125

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

შენობის ფასადზე კონდენციონერის და სარეკლამო აბრების განთავსების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - საბურთალო, სულხან ცინცაძის ქუჩა, N12, შპს "ვაიზმან ჯგუფი Wiseman Group"-ის კუთვნილი ფართების ფასადზე კონდენციონერის და სარეკლამო აბრების განთავსებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახოციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომლის განთავსება არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (შპს "ვაიზმან ჯგუფი Wiseman Group"-ის კუთვნილი ფართის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882015150250 19/03/2015წ., საკადასტრო კოდი N 01.10.17.002.022.16.521, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882015150276 19/03/2015წ. ს.კ. N 01.10.17.002.022.16.522, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882015150295 19/03/2015წ. ს.კ. N 01.10.17.002.022.16.523; არსებული სიტუაციის ფოტოსურათები და ფოტომონტაჟები, ესკიზური ნახაზები) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - საბურთალო, სულხან ცინცაძის ქუჩა, N12, შპს "ვაიზმან ჯგუფი Wiseman Group"-ის კუთვნილი ფართების ფასადზე კონდენციონერის და სარეკლამო აბრების განთავსების შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ, რომ კონდენციონერის დანადგარის შემდგომი ფუნქციონირებისთვის დაცულ იქნას შესაბამისი ნორმატივები და უსაფრთხოების ნორმები.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.